GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 26 Mart/მარტი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 716.9	4 696.2	-6.2%	18.5 %	3.6 %

Batum Uluslararası Havalimanı'nın Yenilenen Terminali Hizmete Açıldı
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის განახლებული ტერმინალი გაიხსნა

Batum Alexsander Kartveli Uluslararası Havalimanı'nın yenilenen ve kapasitesi iki katına çıkartılan terminal binası törenle hizmete açıldı. Yenileme sonrasında, havalimanının yıllık kapasitesi 1 200 000 yolcu oldu. TAV Georgia tarafından gerçekleştirilmiş bu proje için 17 milyon ABD doları tutarında ek yatırım yapıldı.

Terminal binasının açılışı Gürcistan Başbakanı İrakli Garibaşvili ve TAV Havalimanları Holding İcra Kurulu Başkanı Sani Şener tarafından gerçekleştirildi. Açılış töreninde Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı NatiaTurnava, Türkiye'nin Tiflis Büyükelçisi Fatma Ceren Yazgan, hükümet üyeleri, diplomatlar ve diğer yetkililer hazır bulundu.

ბათუმის ალექსანდრე ქართველის სახელობის აეროპორტი, გაფართოების სამუშაოების დასრულების შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა. განახლების შემდეგ აეროპორტის გამტარუნარიანობა გაორმაგდება და წელიწადში 1 200 000 მგზავრს გაუტოლდა. პროექტი TAV Georgia-მ განახორციელა, საინვესტიციო თანხა კი 17 მილიონ დოლარს უტოლდება.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს პრემიერ მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, „ტავ ჰოლდინგის“ პრეზიდენტი სანი შენერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, თურქეთის ელჩი საქართველოში ფატმა ჯერენ იაზგანი, მინისტრთა კაბინეტის წევრები, დიპლომატები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

Kültür ve Spor Bakanlığı
კულტურისა და სპორტის სამინისტრო

Gürcistan Parlamentosu, Gürcistan Kültür ve Spor Bakanlığı'nı yeniden kurma kararını aldı. Kültür ve Spor Bakanı olarak eski Adalet Bakanı Sn. Tea Tsulukiani atandı.

საქართველოს პარლამენტმა კულტურისა და სპორტის სამინისტროს აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. სამინისტროს ყოფილი იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს.

Gürcistan'daki Ortalama Aylık Maaşı
საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში

2020'nin dördüncü çeyreğinde, Gürcistan'daki ortalama aylık ücreti geçen yılın aynı dönemine göre %0.4 (5,0 Lari ile) azalarak 1 314,7 GEL teşkil etmiştir. Faaliyet türlerine göre en yüksek maaşlar aşağıdaki alanlarda kaydedilir:

Mesleki, bilimsel ve teknik faaliyetler – 2 319.9 GEL (%7.3 azalma)
Bilgi ve iletişim alanı – 2 257.2 GEL (%6.9 artış)

Pandemi nedeniyle hükümet tarafından ilan edilen kısıtlamalardan dolayı iş yerini ve gelirini 100 binden daha fazla kişi kaybetti. Çalışmaya sürdüren çalışanların ortalama maaşı ise bir önceki yılın seviyede kaldı.

2020 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.4%-ით (5.0 ლარით) შემცირდა და 1 314.7 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხელფასი შემდეგ დარგებში ფიქსირდება:

პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები - 2 319.9 ლარი (შემცირდა 7.3%-ით)
ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგი - 2 257.2 ლარი (ზრდა 6.9%-ით)

პანდემიის გამო დაწესებული სამთავრობო შეზღუდვების შედეგად, 100 ათასზე მეტმა ადამიანმა დაკარგა სამსახური და შემოსავლები. იმ დასაქმებულთა საშუალო ხელფასი, ვისაც სამსახური შეუნარჩუნდა თითქმის იმავე დონეზე დარჩა, რაც წინა წელს იყო.

Merkez Bankası'nın Kararıyla Refinansman Oranı %8.5'e Çıkarıldı
ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 8.5%-მდე გაიზარდა



Para Transferleri %17.5 Arttı
ფულადი გზავნილების მოცულობა 17.5%-ით გაიზარდა

Gürcistan Milli Bankası tarafından yayınlanan bilgilere göre, Şubat 2021'de para transferler, geçen yılın aynı dönemine göre %17.5 arttı ve 161.4 milyon ABD dolara ulaştı. Transferlerin %44.0'ı AB ülkelerinden gerçekleştirildi. İtalya 28.55 milyon doları ile ülkeler arasında birinci sırada.

ეროვნული ბანკის მონაცემებით 2021 წლის თებერვალში საქართველოში 161.4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ფულადი გზავნილები შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდზე 17.5%-ით მეტია. გადმორიცხული თანხის 44.0% ევროკავშირის ქვეყნებიდან მოდის, ხოლო ქვეყნებს შორის ლიდერი იტალიაა - 28.55 მლნ აშშ დოლარი.

Gürcistan'da Yakıt Fiyatları Arttı
საქართველოში საწვავი გაძვირდა

Gürcistan'da petrol fiyatları salgın öncesi seviyesi aştı. Fiyat artmaşının nedeni, uluslararası piyasada petrol fiyatlarının artışı ve Lari'nin dolar karşısında değerin kaybetmesidir.



საქართველოში ნავთობის ფასებმა პანდემიამდელ ნიშნულებს გადააჭარბა. ფასების ზრდის მიზეზს, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მატება და დოლართან მიმართებით ლარის გაუფასურება წარმოადგენს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'ın Dış Ticareti Ocak-Şubat 2021 Yılı
2021 წლის იანვარ-თებერვლის საგარეო ვაჭრობა

2021 yılı Ocak-Şubat döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 1,654,0 milyon ABD Doları teşkil etmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı dönemine göre %12,0 daha azdır. İhracat 94,7 milyon ABD dolar (düşüş oranı % 6.8), ithalat ise – 1 159.3 milyon ABD doları (düşüş oranı %14.1) olmuştur.

En büyük ihracat ortakları: Rusya (71.1 milyon ABD $), Azerbaycan (66.4 milyon ABD $) ve Çin (53.8 milyon ABD $); En büyük ithalat ortakları: Türkiye (203,3 milyon ABD), Çin (139,9 milyon ABD) ve Rusya (131,6 milyon ABD).

2021 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1 654.0 მლნ აშშ $ შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.0%-ით ნაკლებია. ექსპორტი 6,8%-ით შემცირდა და 94.7 მლნ აშშ % შეადგინა, ხოლო იმპორტი 14,1%-ით შემცირდა 1 159.3 მლნ აშშ $ მდე.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებია: რუსეთი (71.1 მლნ აშშ $), აზერბაიჯანი (66.4 მლნ აშშ $) და ჩინეთი (53.8 მლნ აშშ $); ხოლო უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი (203.3 მლნ აშშ $), ჩინეთი (139.9 მლნ აშშ $) და რუსეთი (131.6 მლნ აშშ $).

Elektrik Tüketimi
ელექტროენერგიის მოხმარება

Şubat 2021'de Gürcistan'a elektrik ithalatı %32 arttı. Bunun nedeni rehabilitasyon çalışmaları nedeniyle Enguri HES'in kapatılması oldu. Elektrik ithalatı Rusya, Azerbaycan ve Türkiye'den gerçekleştirildi. Ekonomik aktivitelerdeki düşüşle birlikte Şubat ayında elektrik tüketimi %5 düşmüştür.



2021 წლის თებერვალში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი 32%-ით გაიზარდა. აღნიშნულის მიზეზი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ენგურჰესის გაჩერება იყო. იმპორტი რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან განხორციელდა. თავის მხრივ ეკონომიკური აქტივობის კლებასთან ერთად თებერვალში 5%-ით შემცირდა ელექტროენერგიის მოხმარება.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაზავლარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Covid – 19
კოვიდ – 19

Gürcistan'da son haftada korona virüs vaka sayısının artış eğilimi kaydedildi. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 2650'e ulaştı (ortalama: 378 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 279 446'e ulaştı. Can Kaybı – 3 738, iyileşenlerin sayısı – 271 585, aktif vaka ise – 4 123. Halihazırda hastanelerde 1563, otellerde ise 192 kişi tedavi görüyor, 271 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 3 251 308 test yapıldı. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %1,43'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oran %1,6'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %1,89'e eşittir.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 126 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 126 168 233; Can Kaybı – 2 769 203; İyileşen kişi sayısı – 101 791 410. En çok vaka sayısı ABD, Brezilya, Hindistan, Rusya ve Fransa'da görülmüştür.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რიცხვის მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 2650-ს უტოლდება (378 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 279 446 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 3 738, გამოჯანმრთელდა 271 585, ხოლო 4123 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 1563 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 192 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 271 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 3 251 308 ტესტი გაკეთდა. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად -1,43%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 1,6%, ხოლო 7 დღის -1,89%.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 126 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 126 168 233 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 2 769 203, ხოლო გამოჯანმრთელდა 101 791 410 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ბრაზილიას, ინდოეთს, რუსეთსა და საფრანგეთს ჰყავს.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.3473 TRY/GEL – 0.4210 EUR/GEL – 3.9545 GBP/GEL – 4.5955

USD/GEL

19 - 26 Mart 2021

USD/TRY

19 - 26 Mart 2021



TRY/GEL

19 - 26 Mart 2021

ALTIN – 55, 552.83 kg/usd

19 - 26 Mart 2021



AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası